AG - 9185 24/06/21

თანამშრომლობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 23 ივნისი 2021წ.

ერთი მხრივ, **შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში „უსდ"), მისი რექტორის **ვალენტინა საყვარელიძის** სახით და, მეორე მხრივ, **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"** (შემდგომში „მხარე"), მისი **გენერალური დირექტორის ლაშა კილაძის** სახით, ვდებთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას რომლის მიზანია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერისტეტის მიერ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არსებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფის ხელშეწყობა ამავე საგანმანათლებლო პროგრამის (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკის განხორციელების გზით.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ რეალიზებული ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკის სილაბუსის შესაბამისად, რომელიც ამ ხელშეკრულების დანართი და განუყოფელი ნაწილია, ამავე ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პრაქტიკის შემადგენელი ნაწილის - საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფა სილაბუსით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვით;

საწარმოო პრაქტიკა გათვალისწინებულია *კლინიკური ფსიქოლოგიის მოდულისთვის.*

1.2. საწარმოო პრაქტიკის გასავლელად, მხარე უზრუნველყოფს სტუდენტი ჩართოს რეალურ საქმეთა წარმოებაში, რისთვისაც მხარე გამოყოფს უფლებამოსილ პირს (მენტორს), რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტის პროფესიულ საქმიანობას;

1.3. საწარმოო პრაქტიკის გავლას საერთო კოორდინაცია უწევს უნივერსიტეტის წარმომადგენელი - სილაბუსის ავტორი, შესაბამისი ფაკულტეტის პრაქტიკის ხელმძღვანელი;

1.4. სტუდენტი აწარმოებს საწარმოო პრაქტიკის დღიურს და ადგენს პრაქტიკის ანგარიშს პრაქტიკის ინსტრუქციის თანახმად;

1.5. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მოსამზადებელი შეხვედრა (უნივერსიტეტი);

ბ) სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ (უნივერსიტეტი);

გ) პრაქტიკის ადგილის გაცნობა მენტორის მიერ (მხარე);

დ) სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება (მხარე);

ე) სტუდენტის ზედამხედველობა მენტორის მიერ (მხარე);

ვ) სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ (უნივერსიტეტი);

ზ) დასკვნითი შეფასება (პრაქტიკის საჯარო დაცვა) (უნივერსიტეტი).

2. ანაზღაურება

უნივერისტეტი მხარეს გადაუხდის საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფის მომსახურების მათ შორის შეთანხმებულ საფასურს ყოველ ერთ სტუდენტზე მხარის მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურისა და გაფორმებული მიღება- ჩაბარების აქტის შესაბამსიად ერთი სტუდენტის საფასური შეადგენს 50,0 (ორმოცდაათი) ლარს.

3. მხარეების უფლებები და ვალდებულებები:

3.1 უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) იმოქმედოს ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) გადუახადოს მხარეს ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტში გათვალსიწინებული თანხა ამავე პუნქტით განსაზღვრული წესით;

გ) გადასცეს მხარეს იმ პირთა/მასწავლებელთა (პრაქტიკის ხელმძღვანელთა) და სტუდენტთა სია, რომელთაც ენიჭებათ დაშვება და მხარის მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობებით სარგებლობის უფლება;

დ) დროულად აცნობოს მხარეს შეთანხმებული გრაფიკის (ცხრილების) ცვლილების თაობაზე;

ე) აანაზღაუროს მხარის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისთვის უნივერისტეტის წარმომამდგენელთა დადასტურებული ბრალით მოყენებული მატერიალური ზარალი სრულად.

3.2 მხარე ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად, ხარისხიანად სრულყოფილად და დროულად, უნივერისტეტის ინტერესებიდან გამომდინარე შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ბ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო მიზნებით ამ ხელშეკრულებით გათვალსიწინებული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე სტუდენტის დაშვება და არ დაუშვას უნივერსიტეტთან შეთანხმებული გრაფიკის (ცხრილის) მიხედვით, უნივერსიტეტთან შეთანხმებული სიით უნივერსიტეტის წარმოამდგენელთა ამ ბაზასთან დაშვების შეზღუდვა;

გ) შეუქმნას უნივერისტეტის წარმოამადგენლებს/მასწავლებელთა (პრაქტიკის ხელმძღვანელთა) და სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლის სათანადო და უსაფრთხო პირობები, უზრუნველყოს ისინი საჭირო ინვენტარით;

4. ხელშეკრულების ვადა

4.1. თანამშრომლობის ხელშეკრულება იდება 1 (ერთი) წლის ვადით;

4.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან;

4.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობებითა და წესით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

ამ ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის, მხარეს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად;

6. განსაკუთრებული პირობები

პირობები, რომელთა ხელშეკრულებაში მითითებასაც მხარეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ;

7.დავები

მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად. ერთი ინახება უნივერისიტეტში, მეორე - მხარესთან. ორივე ეგზემპლიარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია:		უსდ:
შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა № 21 ა მიმღები ბანკი - „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი - TBCBGE22 მიმღები ანგარიში:GE48TB7810436020100003 ელ.ფოსტა:legal.department.mhpa@gmail.com ხელმოწერა: ---------- ლაშა კილაძე		შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (ს.კ N206046045) მის: თბილისი, 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.N31 ტელ: (+99532) 2545908, 2545909 ელ ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge ვებ გვერდი: www.thu.udu.ge ხელმოწერა: ---------- ვალენტინა საყვარელიძე